ოქმი:**ო08. 3726268001**

თარიღი:**25/09/2026**

**ოქმი № 12**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის**

2026 წელი, 21 სექტემბერი

ქ. ოზურგეთი

15:00 საათი

**თავმჯდომარეობდა:** ბექა თოიძე-მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

**ესწრებოდნენ** კომისიის წევრები: გ. კილაძე, ზ.სალუქვაძე, ზ. მორჩილაძე, მ. ცქვიტიშვილი, ლ. კვაჭაძე, ლ.მესხი, დ. თოიძე, ლ. ქვილორია,დ.კიკვაძე

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

**დღის წესრიგი**

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის (პროგრამული კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ”.

**მომხსენებელი: ბექა თოიძე**

**თანამომხსენებელი: ვახტანგ ვაშაყმაძე**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო დღის წესრიგის საკითხი. აღნიშნა, რომ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარებდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა ვ.ვაშაყმაძემ, რომელმაც საკრებულოს კომისიის წევრებს კონკრეტულად გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის წარმოდგენილი დადგენილების კორექტირებული პროექტი და უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტს საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

**გადაწყვიტეს:**

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და დღის წესრიგში წარმოდგენილი საკითხი

წარედგინოს საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს მომდევნო სხდომას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

ბექა თოიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

